	მეორადი განათება. სკოლაში გათბობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, კაბინებს არ აქვთ კარები, შესაბამისად არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა პრივატულობა, ამასთან, სველ წერტილებში არ არის ინდივიდუალური ჩამრეცხი სისტემა, რაც ვერ უზრუნველყოფს ჰიგიენის ნორმების დაცვას. ვიზიტის პერიოდში სველ წერტილებში იგრძობოდა სპეციფიური სუნი რაზეც სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და მოაწყოს სველი წერტილებში ინდივიდუალური ჩამრეცხები, შეიმუშაოს სან. კვანძების დასუფთავების მექანიზმები და გაუწიოს აღნიშნულის შესრულებას მონიტორინგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით; დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიუს შედეგებით; ჰიგიენური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით; კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე სართულზე (44. 11 კვ.მ ფართში) განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია წიგნების სტელაჟებით,თაროებით, გამოყოფილია სამკითხველო ზონა, ბიბლიოთეკარის მაგიდა, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, ლიტერატურა განთავსებულია ანბანურად,შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას წიგნები დამოწმებულია საბიბლიოთეკო წესით, ბიბლიოთეკარი აწარმოებს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნს, შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკის შინაგანაწესი,რომელიც თვალსაჩინო ადგილას არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოკრული.ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება.დაცულია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების მინიმუმ თითო ეგზემპლარი ყველა საგანში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სკოლის დირექტორის დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკის შინაგანაწესით. • საინვენტარო წიგნით, მოსწავლეზე გახსნილი სამკითხველო ბარათებით, წიგნების შეძენის სასაქონლო ზედნადებებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი,ხოლო სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია მოძრავი პანდუსის მეშვეობით, რომელიც სკოლას დასაწყობებული ჰქონდა ვიზიტის დროს. შენობის პირველ სართულზე, საბავშვო ბაღისთვის დათმობილ ფართში,რომელიც სკოლას გამიჯნული აქვს ბრძანებით, განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფართში <u>ადაპტირებული სველი წერტილი არ არის.</u> დაწესებულების განმარტებით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა ტექნიკურად შეუძლებელია.აღსანიშნავია, რომ წინა სააავტორიზაციო ვიზიტის დროს , ექსპერტთა დასკვნის მიხედით და სკოლის განმარტებით ადაპტირებული სველი წერტილის სხვა სივრცეში მოწყობას 2017 წელს გეგმავდა. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე. <u>**„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება N99/ნ თავი II , მუხლი 7,1-ლი პუნქტის, დ ქვეპუნქტის საფუძველზე ,სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • აზომვითი ნახაზით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კერძოდ: სკოლის ვებ-გვერდი- www.businessschool.ge; სკოლის ელექტრონული ფოსტა - Mchevri_businessschool@yahoo.com; სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა ; ელ.ჟურნალი schoolbook. სოციალური გვერდი https://www.facebook.com/businessschool.ge; IT ლაბორატორიაში განთავსებულია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერები.ჯამში სასწავლო მიზნით სკოლა იყენებს 40 კომპიუტერს.საკლასო ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებით, სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებისას მასზე დატანილია შემდეგი ინფორმაცია: სიახლეების ველი,სკოლის შესახებ ინფორმაცია,მშობლებთან ურთიერთობის პირობები,შეტყობინების გაგზავნის სერვისი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. ***რეკომენდებულია სკოლამ ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ- გვერდზე განათავსოს შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა და სხვ.მარეგულირებელი დოკუმენტები. ვებ - გვერდი პერიოდულად განახლდეს და ასიახოს უახლესი ინფორმაცია.<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას უზრუნველყო ვებ-გვერდის განახლება.</u>***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ- გვერდის ვიზალური დათვალიერებით; • კოპიუტერების და სხვა ტექნიკის შესყიდვის დამატასტურებელი სასაქონლო ზედნადებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერნეტმომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბერის N1-42 ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი კერძოდ:გადამუხტული ცეცხლმაქრები,საევაკუაციო გასასვლელი მინიშნებები. ცეცხლმაქრების განთავსების ადგილას და საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია ერთიანი სატელეფონო ნომერი ,,112''.ვიზიტის პერიოდში ცეცხლმაქრები განთავსებული იყო კედლეზე, თუმცა ხელმისაწვდომი არ იყო, რაზეც სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მითითება და ცეცხლმაქრები გახადა ხელმისაწვდომი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2015 წლის 02 ივნისის სახანძრო მიწერილობა N 4 ,რომელიც ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე ''საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370 დადეგნილებამდეა გაცემული. ***რეკომენდებულია სკოლამ საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით,მიმართოს შესაბამის უწყებებს, შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება საგანგებო სიტუაციების დროს, მათ შორის ხანძრის დროს გასატარებელი ღონისძიებები და იხელმძღვანელოს ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე ''საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370 დადეგნილებით.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ცეცხლმაქრების გადამუხტვის მიღება-ჩაბარების აქტით; • ვიზუალური დათვალიერებით; • 2015 წლის სახანძრო მიწერილობა N 4 ;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • საევაკუაციო გეგმების შედგენის მომსახურების ხელშეკრულებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის პირველ სართულზე 10,35 კვ. მ ფართში განთავსებულია სამედიცინო ოთახი,რომელიც აღჭურვილია კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას ემსახურება ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ექთანმა წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი. სკოლამ წარმოაგინა მედდის თანამდებობრივი ინსტრუქცია და დებულება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად,კერძოდ, იზრუნოს სამედიცინო ოთახის ფართის სხვა ოთახში განთავსებაზე და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმებაზე, ამ უკანასკნელის მოგვარების მიზნით, სკოლამ ვიზიტის დროს გააგზავნა კორესპონდენცია რესურსცენტრში საკონკურსო კომისიაში პირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრის შესახებ.*<u>არგუმენტირებული პოზიციის წრმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა ბრძანება ექიმის დანიშვნის შესახებ.</u>*
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • მედდის დებულებით; • სკოლის ექთანთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; • სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შესყიდვის სასაქონლო ზედნადებებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, დამტკიცებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი'' თუმცა კანონმდებლობის შესაბამისად არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გააგზავნა სამინისტროში კორესპონდენცია ზემოაღნიშნული წესის შესათანხმებლად. სკოლის შემოსასვლელში ვიზიტორებს აღრიცხავს დარაჯი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი; • დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმების შესახებ გაგზავნილი კორესპონდენცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში დამონტაჟებული იყო 14 ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომელთაგან 8 გარე ,ხოლო 6 შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების პარამეტრები შეესაბამებოდა კანონმდებლობას. დაწესებულების დირექტორის განმარტებით ვიდეოსათვალთვალო სისტემების კონტროლსა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის დარაჯი. ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სპორტულ დარბაზში დამონტაჟებული იყო ვედეოკამერა, დაწესებულებას მიეცა რეომენდაცია აღნიშნულ ფართში არ აწარმოოს ვიდეოკონტროლი,ამასთან, ვიზუალური დათვალიერებისას სკოლაში გამოიკვეთა სივრცეები, რომელიც არ კონტროლდებოდა სტანდატის უკეთ შესაბამისობის მიზნით, დაწასებულებას მიეცა რეკომენდაცია ვიდეოსამეთვალყურეო კამერების დამატების შესახებ, აღნიშნული სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდშივე გადმოაგზავნა 3 შიდა პერიმეტრის კამერის შესყიდვის ხელშეკრულება.***რეკომენდებულია სკოლამ განსაზღვროს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.*** ***არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ ცენტრში წარმოადგინა ფოტომასალა დამატებით ვიდეოკამერების დამონტაჟების შესახე, ასევე ბრძანება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების ფლობის დოკუმენტაცია სასაქონლო ზედნადები; • ხელშეკრულება ვიდეოკამერების დამატების შესახებ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შ.პ.ს. „მჭევრის" პარტნიორთა საბჭოს სხდომაზე(2022 წლის 7 სექტემბრის ოქმი N 45) დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს:სკოლის სტატუსს, სამუშაო კვირის ხანგძლივობას და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს, შრომით ურთიერთობის პირობებს, შვებულების ხანგძლივობას და შრიმით ურთიერთბების შეწყვეტის საფუძვლებს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს და სხვ. შინაგანაწესის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ რიგი საკითხები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, მაგალითად, მოსწავლის მიერ სკოლაში ცივი იარაღის ტარების პირველ შემთხვევაზე დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომად 500 ლარიანი ჯარიმის დაკისრება და სხვ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეყვანა დისციპლინური გადაცდომებისა და შესაბამისი სახდელების შესახებ ჩანაწერი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. სკოლამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ. დაწესებულებაში შემუშავებულია ,,შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი2022-23'', რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა დოკუმენტის მიღებისა და დამტკიცების წესებს, სკოლის ანგარიშგების სისტემას,სკოლის სტურუქტურასა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებს,პედაგოგთა შეფასების რუბრიკებს და კრიტერიუმებს,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ,,შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი2022-2023''

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 07 სექტემბრის პედაგოგიურ საბჭოზე სხდომაზე (ოქმი N3) დამტკიცებული სამოქმედო გეგმა 2022-2023წწ, რომელიც სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს, სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა იყენებს სტარტეგიული დაგეგმვის SWOT-ანალიზის მეთოდს. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიმართულებებია: სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა,სასკოლო კომუნიკაცია,ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია,სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, თვითშეფასება. მიმართულებები ჩაშლილია კონკრეტულ აქტოვობებად,დროში გაწერილია და ითვალისწინებს შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. დაწესებულების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს SWOT ანალიზის შედეგების და სკოლის მისიაზე დაყრდნობით სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას. დოკუმენტი მოიცავს 6 სტრატეგიულ მიმართულებას: I. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებისა და სამუშაო გარემოს ორგანიზება; 2.მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სკოლის ინფრასტუქტურის განვითარება; 3.მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; 4.სკოლის ფინანსური მართვა და კონტროლი; 5.სკოლის კომპიუტერიზაცია; დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის შეძენა; 6.სკოლის პარტნიორული ურთიერთობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ სკოლამ თვითშეფასების თანდართულ დოკუმენტად გადმოაგზავნა 2016-2022 წლის და 2022-2028 წლის გრძლევადიანი სტრატეგიული გეგმა, ხოლო ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ იქნა მიმართულებები, რომელიც სკოლა გაითვალისწინებს სამომავლოდ. ***სტანდატის უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმებში განისაზღვროს მოსალოდნელი შედეგები და შედეგის ინდიკატორები, ასევე გეგმის შესრულების მონიტირინგის ეფექტიანი მექანიზმები.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწ წლ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • 2016-2022წწ. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა; • 2022-2028 წწ. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას დამფუძნებელთა საერთო კრებაზე 2015 წლის 5 სექტემბრის N 34 ოქმით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი.სკოლაში საქმისწარმოებას უზრუნველყოფს ხელშკერულებით დასაქმებული ადმინისტრატორი. სკოლაში სხვადასხვა ტიპის სარეგისტრაციო ჟურნალებია,რომელთა გადამოწმებისას არ იყო სათანადო წესით დამოწმებული (ზონარგაყრილი და ბეჭდით დამოწმებული).შერჩევითი პრინციპით მართვის საინფორმაციო სისტემაში გატარებული მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით გადამოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ მიმდინარე წლის 21 ნოემბერს საბაზო საფეხურის მოსწავლეს შეუჩერდა მოსწავლის სტატუსი (სასწავლო პროცესზე ზედიზედ 45 დღის გამოუცხადებლობის გამო)აღნიშნული საკითხის მოკვლევისას სკოლამ ვერ წარმოადგინა ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანებით დადგენილი მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე სკოლის მიერ გასატარებელი აქტივობების შესახებ ინფორმაცია,სკოლამ აღნიშნა, რომ მშობლებთან განხორციელდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეხვედრა, თუმცა სკოლის მხრიდან კანონით გათვალისწინებული პროცედურების გატარების ამსახვლი მასალა ექსპერტებმა ვერ ვნახეთ, აღნიშნულზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია და განემარტა კანონმდებლობით გასათვალისწინებელი ღონისძიებების რიგითობა და ვადები, სკოლამ ვიზიტის პერიოდში ინფორირების მიზნით გააგზავნა კორესპონდენცია შესაბამის უწყებაში.***სკოლას მიეცა რეკომენდაცია საქმიანობისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მონიტორინგი გაუწიოს საშემსრულებლო დისციპლინას.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმიწარმოების წესი; • კორსპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი; • ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლამ გაითვალისწინოს მოქმედი კანონმდებლობა და საქმიანობისას გაუწიოს მონიტორინგი საშემსრულებლო დისციპლინას.
ხარვეზები:	2.4. სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო, კერძოდ არ აქვს შშმ პირთათვის სველი წერტილი.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მჭევრის“ დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლას ჰყავს სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის 31 მასწავლებელი და 16 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. მათ შორის: სკოლის დირექტორი 1;სასწავლო პროცესის კოორდინატორი 1;მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი 1;IT მენეჯერი 1;ადმინისტრატორი 1;ექთანი 1;ბუღალტერი 1;ბიბლიოთეკარი 1;წრის ხელმძღვანელი 1;დამლაგებელი 2;აღმზრდელი 2;მზარეული 1;დარაჯი 1;მძღოლი 1. აღსანიშნავია, რომ ყველა თანამშრომლის საქმიანობა და ფუნქციები რეგულირდება შესაბამისი დებულებებით და ყველა მათგანი მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool-შია ასახული. სკოლაში არსებული ყველა დოკუმენტი ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ერთმანეთთან თანხვედრაშია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • სკოლის მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა; • თანამშრომელთა eSchool-ის ბაზა; • სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები; • სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებები; • სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი; • სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	31
მოწვეული/მაძიებელი	3
უსტატუსი მასწავლებლი	16
უფროსი მასწავლებლი	11
წამყვანი მასწავლებლი	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული 31 მასწავლებლიდან წამყვანის სტატუსი აქვს 1 მასწავლებელს, უფროსის - 11 მასწავლებელს, მოწვეულია 2 მასწავლებელი შესაბამისი საათობრივი დატვირთვით, მაძიებლის სტატუსი აქვს 1 მასწავლებელს. 16 მასწავლებელი არის უსტატუსო, რომლებთანაც დადებულია შრომითი ხელშეკრულება იმ პრიობით , რომ ორი წლის ვადაში აიმაღლებენ სტატუსს. უსტატუსო მასწავლებლებიდან 3 მასწავლებელი უახლოეს პერიოდში ელოდება სტატუსის მინიჭებას. აღსანიშნავია, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსები მასწავლებელთა შესარჩევად და საკონკურსო კომისიის ოქმებიდან ჩანს, რომ შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის 3 მასწავლებელი ქართული ენასა და ლიტერატურის და რუსული ენის მასწავლებლის ვაკანსიაზე. ამ მასწავლებს ჩაბარებული აქვთ გამოცდა და გავლილი აქვთ მასწავლებლის მომზადების პროგრამა. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მათთვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად (წერილი #0152 15.12.2022). სკოლის მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის #1, # 2 და #3 ოქმებიდან (26.08.2022) ჩანს, რომ კონკურსის შედეგად ვერ მოხერხდა სათანადო სტატუსის მასწავლებელთა შერჩევა (მათემატიკა, ინგლისური ენა, რუსული ენა, ბიოლოგია, ქიმია, დასწყებითი კლასების მასწავლებელი, სპორტი და მუსიკა), ამიტომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, ზემოთხსენებული საგნების მასწავლებლებთან ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების მუხლი 13 შესაბამისად, რომლის თანახმად, პირმა, მასწავლებლად მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწყებიდან 2 წლის ვადაში, უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადების და კომისიის მუშაობის წესი, რომლის მიხედვითაც წარიმართა აღნიშნულ მასწავლებელთა შერჩევის პროცედურები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • eSchool-ის ბაზაში ასახული მონაცემები; • მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის მუშაობის წესი; • მასწავლებელთა ხელშეკრულებები; • მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის კომისიის ოქმები; • ვაკანსიის განცხადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის მე-20 მუხლში გაწერილია შრომითი ურთიერთობის წესები და ასახულია, რომ სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესთან“. სკოლის მასწავლებელთა შერჩევის პროცესი ასახულია შესაბამის ოქმებშიც. სკოლის შინაგანაწესის მე-20-25 მუხლებში წარმოდგენილია სკოლაში დასაქმებულთა წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. შინაგანაწესის მუხლები კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათთვის ნაცნობია შინაგანაწესში ასახული ინფორმაცია და ახალ თანამშრომლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის მექანიზმები, რაც ეხმარება ახალ კადრებს ეფექტურ საქმიანობაში. ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს საუკეთესო თანამშრომელთა წახალისების ტრადიცია, რაც მათთვის დიდი სტიმულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • თანამშრომელთა შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმები; • სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მჭევრის“ დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლაში ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია 1 წლიანი ვადით. ხელშეკრულებებში მითითებულია მასწავლებელთა სტატუსები და ამ სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. ასევე, სხვა პერსონალთან - შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ყველა ხელშეკრულება დანომრილია და გატარებულია რეგისტრაციის ჟურნალში საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. ხელშეკრულებებთან ერთად, სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტი (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, პირადობის დამადასტურებელი და ნასამართლეობის ცნობები და სხვა.). თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ ხელშეკრულების პირობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც შექმნილია სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მასში შესულია 7 წევრი: ხარისხის მართვის მენეჯერი და კათედრის ხელმძღვანელები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მართვის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით . სკოლის მისიიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პროფესიულ განვითარების მიზნებს. ის სკოლის სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს და თანამშრომელთა პროფესიულ მხარდაჭერას და განვითარებას ისახავს მიზნად. პროგრამაში გაწერილია კონკრეტული ქმედებები სათანადო პასუხისმგებელი პირების მითითებით, ასევე მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები. სკოლის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მექანიზმები ასახულია სკოლის განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და სკოლის განვითარების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას და უქმნის მუშაობის ხელსაყრელ გარემოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ხარისხის განვითარების დებულება; • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა; • სკოლის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებანი; • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო პროგრამა; • სკოლის 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და სკოლის განვითარების 1 წლიანი გეგმა; • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა. მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის გარდა, პროექტების, კონფერენციების, გასვლითი, შემეცნებითი, სპორტული, სახელოვნებო და სხვა ღონისძიებების განხორციელებით ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობის და თანასწორობის დამკვიდრებას. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „კავკასიის უნივერსიტეტთან“ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 2012 წლიდან. ამ მემორანდუმის ფარგლებში იმართება ლექცია-სემინარები, მასტერკლასები, კონფერენციები და ოლიმპიადები მოსწავლეთათვის, რაც ხელს უწყობს მათი სამომავლო ინტერესის გაზრდას. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დებულება, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების მართვის და სარგებლობის წესი, შენაგანაწესში გაწერილია ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები, სკოლაში არის საგანგებო სიტუაციების საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა და სხვა. სკოლაში უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესება პრიორიტეტულია სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებშიც. სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი;. • სასწავლო პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები • სკოლის განვითარების 1 წლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა. • ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ.თბილისი 23.12.2022

თარიღი

გვერდების რაოდენობა: 39 (ოცდაცხრამეტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.